ქურდიანების საოჯახო ხელოვნება ამერიკაში

ბარნოვის 44 ნომერში ქურდიანებს ვსტუმრობთ. სახლი დიდი წინაპრის გიგო ქურდიანის დაპროექტებულია და წლებია, თაობები ცხოვრობენ. აქვეა ქურდიანების არქიტექტურული სტუდია „დინასტია“, სადაც არჩილ და გიორგი ქურდიანები გვმასპინძლობენ.

ARCHIL & GIORGI KURDIANI

დინასტიის ახალი სისხლი

იორგი ქურდიანი ქურდიანების დინასტიის ყველაზე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელია. სტუდიას თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრის დიპლომით წარჩინებით დასრულების შემდგომ შემოუერთდა და მამასთან, არჩილ ქურდიანთან ერთად უძღვება (გარკვეული პერიოდი სტუდიაში ერთად მუშაობდა სამი თაობა - გიორგი მამასთან არჩილ და ბაბუასთან - გია ქურდიანთან ერთად). გია ქურდიანის თხოვნით, გიორგიმ უმაღლესი განათლების პირველი საფეხური თბილისში გაიარა. ბაბუას სურდა, შვილიშვილს ქართველი კოლეგა-მეგობრები ჰყოლოდა.

2011 წელს, გიორგი იმარჯვებს საერთაშორისო არქიტექტურულ კონკურსში, ნომინაციაში „საუკეთესო სტუდენტური პროექტი” – პროექტი: სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრი ქ.ტოკიოში, იაპონია. 2012 წლიდან იგი სწავლობს მაგისტრატურაში, ლიხტენშტეინის სამეფოში, "University of Liechtenstein" როგორც არქიტექტურის და დიზაინის, ასევე თეორიული არქიტექტურის ფაკულტეტზე და ამთავრებს მაგისტრის დიპლომით 2015 წელს. 2013-2014 სასწავლო წელს მონაწილეობდა გაცვლით პროგრამაში და სწავლობდა ბრიუსელში “Sint Lucas”- ის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. ამჟამად დოქტურანტურის სტუდენტია თბილისის სამხატვრო აკადემიაში.



ART HOUSE

2013 წელს გიორგი ქურდიანი იმარჯვებს საერთაშორისო არქიტექტურულ კონკურსში, ნომინაციაში „საუკეთესო სტუდენტური პროექტი" (ნამუშევარი არქიტექტურული ბიბლიოთეკა ვიდა ჰადრიანაში, იტალია). გიორგი ქურდიანის პროექტების უმეტესობა განხორციელებულია. 2017 წელს მან გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსში ნომინაციით - რეალიზებული საზოგადოებრივი ნაგებობა, ობიექტით „ლეიდა მესხის ჩოგბურთის აკადემია". ვენეციის ბიენალეზე გიორგი დიხტენშტეინის პავილიონის ერთ-ერთი ავტორი იყო. უცხოეთში მიღებულმა განათლებამ და იქაურმა გამოცდილებამ ბევრი რამ მისცა. დიხტენშტეინის უნივერსიტეტთან კავშირი დღემდე გრძელდება, მისი დახმარებით თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ნიჭიერი ახალგაზრდები მონაწილეობენ გაცვლით პროგრამაში და სწავლობენ "University of Liechtenstein"-ში.

სამსაუკუნოვანი ტრადიცია

წარმოსადეგი გარეგნობის ქალბატონი, ელეგანტური თავსაბურავით, მოხდენილი კაბით და მაღალ ქუსლებზე, მრავალსართულიანი მშენებარე სახლის ხარაჩოებზე დგას და მშენებლებს პროექტის შესახებ მითითებებს აძლევს. ერთი შეხედვითაც ეტყობა, რომ ძლიერი და უჩყვევი ხასიათი აქვს. ის ცნობილი არქიტექტორია და ამ სფეროში განთქმული ქურდიანების გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ქეთევანი მეუღლესთან - არჩილ ქურდიანთან ერთად საქართველოში პირველი დიპლომირებული არქიტექტორია. (მოგვიანებით, 2005 წელს, გია და არჩილ ქურდიანების ოჯახი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან ერთად აფუძნებს მათი სახელობის პრემიას „საუკეთესო საფიპლომო ნამუშევრისთვის", რომელიც გადაეცემა ყოველწლიურად საუკეთესო სამაგისტრო საფიპლომო ნამუშევრის მფლობელ კურსდამთავრებულ არქიტექტორს).

არჩილ ქურდიანი უფროსი იყო ქალაქის მთავარი არქიტექტორი, „თბილქალაქპროექტი"-ს დამაარსებელი და მისი პირველი მმართველი, ძეგლთა დაცვის სამსახურის დამაარსებელი, არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, პირველი და ერთადერთი სახალხო არქიტექტორი, რამოდენიმე აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. ორივე - არჩილი და ქეთევანი იყვნენ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები.

არჩილ ქურდიანი (უმცროსი), სტუდია „დინასტიის" დამფუძნებელი, აღმასრულებელი დირექტორი: „ლედაქალაქის მთავარ არქიტექტორად ყოფნის პერიოდში, არჩილ ქურდიანი (უფროსი) ნეპოტიზმში რომ არ დაედანაშაულებინათ, მისი მეუღლე ქეთევანი აპროექტებდა და აშენებდა დასავლეთ საქართველოში სოფლებს, პირველ ჩაის ფაბრიკას ჩაქვში და ა.შ. თბილისის მასშტაბით პროექტირება ქეთევანმა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთავარ არქიტექტორად არჩილის ნაცვლად სხვა დაინიშნა. ქალის ხელი ეტყობა მის ყველა ნამუშევარს, მათ შორის სპორტის სასახლესთან თალგებიან სახლს, ჭავჭავაძის გამზირზე ორ საცხოვრებელ სახლს. ამ შენობასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება: სტალინმა სიცოცხლის ბოლო წლებში გამოსცა განკარგულება, რომ ყველა რესპუბლიკის ლედაქალაქში აშენებულიყო აკადემიკოსებისთვის

სახლი. შენობის თავზე კოშკი ბეღვედერით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სტაღინის გარდაცვალების შემდეგ ფინანსირება შეწყვიტეს. ქეთევან ქურდიანი ამ ფაქტმა აღაშფოთა, ჩავიდა მოსკოვში და განათლების მინისტრთან მოითხოვა აუდიენცია. პასუხს ქეთევანი 2 კვირის მანძილზე ეღოდა. ბოღოს მინისტრმა მიიღო და ჰკითხა მას დაჟინებული შეხვედრის მიზეზი. მას ეგონა, რომ ავტორი მოითხოვდა ბინას, ქეთევანმა კი უთხრა მას, რომ ის მავნებელი იყო პროექტის დამახინჯებისთვის და გამობრუნდა".

არჩილ და ქეთევან ქურდიანები ოჯახური არქიტექტურული დინასტიის მეორე თაობის წარმომადგენლები არიან. დინასტიის ფუძემდებელი არჩილის მამა, ცნობილი ხუროთმოძღვარი და ინჟინერი გრიგოღ (გიგო) ქურდიანი იყო. მისი დაპროექტებულია ღესლეიძის ქუჩა, ლებაქიძის დაღმართი. ის თბილისის და ქუთაისის წყალმომარაგების ქსელის პროექტის ავტორია. ასევე, ბევრი საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი შენობის პროექტის ავტორი. დიდი წვლილი მიუძღვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის აშენება-დაფუძნებაში (ოჯახმა მოგვიანებით არქივში აღმოაჩინა გიგო ქურდიანისადმი სამადლობელი წერილი უსასყიდლო დამხარებისთვის, რომელსაც ხელს აწერენ ივანე ჯავახიშვილი და პეტრე მელიქიშვილი. წერილი დათარიღებულია 1918 წლით - უნივერსიტეტის გახსნის თარიღით. 1918 წელს გიგო ქურდიანმა დააარსა საქართველოს ტექნიკური საზოგადოება და გახდა მისი პირველი თავმჯდომარე. გიგო ქურდიანი უსასყიდლოდ ეხმარებოდა მშობლიურ კუთხეს. კახეთში 600-მდე სოფელში საკუთარი სახსრებით წყალი გაიყვანა. უამრავი ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი ასწავლიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სახელმწიფო უნივერსიტეტში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

გიგო, არჩილ და ქეთევან ქურდიანების გზას აგრძელებს - არჩილის და ქეთევანის ვაჟი - გიორგი (გია) ქურდიანი. მან 1958 წელს სამხატვრო აკადემიის არქიტექტურული ფაკულტეტი დაამთავრა. ისევე, როგორც მშობლებს, მასაც დაპროექტებული და განხორციელებული აქვს მრავალი ობიექტი. ბევრ პროექტზე მუშაობდა მშობლებთან ერთად, მათ შორის „დინამო"-ს სტადიონის რეკონსტრუქციაზე, რომელიც დასრულდა საზეიმო ვითარებაში 1976 წელს.

1965 წელს ქურდიანების ოჯახის არქიტექტურულ დინასტიას შეემატა კიდევ ერთი წარმომადგენელი: გიას ვაჟი – არჩილ ქურდიანი უმცროსი, რომელიც 1990 წელს ამთავრებს სამხატვრო აკადემიის არქიტექტურულ ფაკულტეტს და არქიტექტორის დიპლომით ხელში უერთდება თავის ოჯახურ დინასტიას. უმცროს არჩილ ქურდიანს წიდად ხვდა ბედნიერება, ემუშავა რამოდენიმე პროექტზე პაპასთან – დიდ არჩილ ქურდიანთან და მამასთან ერთად. 2006 წელს მამა-შვილ გია და არჩილ ქურდიანებს მიენიჭათ წოდება „წლის საუკეთესო არქიტექტორები". 2008 წელს ევროპის ბიზნეს ასამბლეის მიერ, არჩილ ქურდიანი (უმცროსი) დაჯილდოვდა „სოკრატი"-ს საერთაშორისო პრემიით და მიენიჭა ღაურეატის წოდება. თავის დროზე, პროფესიის არჩევისას, მის გადაწყვეტილებას წინააღმდეგობრივად შეხვდნენ, არ უნდოდათ, თავზე მოეხვიათ ოჯახური ტრადიცია.

არჩილ ქურდიანი: „პროფესიული არჩევანის თავისუფლება ყოველთვის გვქონდა ყველა თაობაში. მეც ასევე ვფიქრობდი და თავად უნდა მიეღო გადაწყვეტილება ჩემს შვილსაც."

გიორგი ქურდიანი, თანადამფუძნებელი, შემოქმედებითი დირექტორი: „თავიდანვე ვუთხარი მამას და ბაბუას, რომ მოვსინჯავდი და თუ საკუთარ თავს ვიპოვიდი, დავრჩებოდი ამ სფეროში, გადაწყვეტილების შეცვლა კი არასდროს იყო გვიან. ჩემს თავში უნდა აღმომეჩინა, რა მინდოდა... ძაღები რამდენიმე მიმართულებით მოვსინჯე: მაინტერესებდა გრაფიკა, მათემატიკა, ფიზიკა... თუმცა საბოღოოდ მაინც არქიტექტურაზე შევჩერდი. ეს ის სფეროა, სადაც სულ ძიების პროცესში ხარ. ამით განსაკუთრებით მიზიდავდა. არ მიყვარს ერთფეროვნება, სტუდენტობიდანვე რადიკალურად განსხვავებული პროექტებზე მიწევდა მუშაობა. არქიტექტურა არის ფორმა, ჩრდილი, სინათლე, ხმა... გიწევს მუდმივად სიახლის ძებნა... აი, ეს არის საინტერესო ჩემთვის - ყოველ ჯერზე ეხები ახალს და საინტერესოს."

არჩილ ქურდიანი: „არქიტექტურა არ არის მარტო ოფისში ჯდომა და კომპიუტერთან მუშაობა. ეს არის ხელოვნება, რომელიც მიღიმეტრებში უნდა იყოს გაწერილი. ეს არის ნაზავი სახელოვნებო პროფესიების: ხატვის, ფერწერის, მუსიკის... თუ არ ხარ გათვითცნობიერებული ამ ყველაფერში, რთული იქნება, მიაღწიო სასურველ შედეგს. მაგალითად, მამა ხშირად გვეუბნებოდა, რომ ქართული ორნამენტით შეგვეძღო, გვესწავლა ღოგიკური აზროვნება. თუ მის ღოგიკას გაიგებ, ეს დაგეხმარება გეგმარების პროექტირებაშიც".

ქეთევანის, გიგო, არჩილ(უფროსი), გია, არჩილ (უმცროსი) და გიორგი ქურდიანების საერთო შემოქმედებითი მოღვაწეობა ასზე მეტ არქიტექტურულ და დიზაინერულ ობიექტს შეადგენს. გამორჩეულ ნამუშევრებზე საუბრისას არჩილ და გიორგი ქურდიანები გამოყოფენ რთულ და საპასუხისმგებლო პროექტებს, ეს წინა თაობის დროს დაწყებული ის ნამუშევრებია, რომელზეც მუშაობის პატივი მომდევნო თაობებს ხვდათ. მათ შორის დინამოს სტადიონი გამორჩეულია.

პირველი სტადიონის პროექტი, რომელიც არჩილ (უფროსმა) ქურდიანმა შეადგინა, 1932-1936 წლებში განხორციელდა. თბილისისთვის ეს სრულიად ახალი ტიპის ნაგებობა იყო და თავდაპირველად 35 000 მაყურებელზე იყო გათვლილი. ნაგებობამ იმდენად დიდი პოპულარობა მოიპოვა, რომ უამრავი ქართული ფილმის ეპიზოდში მოხვდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებში კი უკვე მაყურებელს ვეღარ იტევდა. ღლის წესრიგში დადგა „დინამოს" რეკონსტრუქციის აუცილებლობაც, რაზეც არჩილ და გია ქურდიანებმა და შალვა გაზაშვილმა იზრუნეს. ახალი სტადიონი 1976 წელს გაიხსნა და 75 000 მაყურებელს იტევდა. 2006 წლის აპრილში მას კვლავ ჩაუტარდა რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია გია და არჩილ (უმცროსი) ქურდიანის მიერ (მათ ეხმარებოდათ უმცროსი გიორგი ქურდიანიც). უკვე UEFA-ს მოთხოვნების შესაბამისად. დიდი მოცულობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები რეკორდულ ვადებში – 2006 წლის 2 სექტემბრამდე უნდა დამთავრებულიყო. ერთვნული სტადიონი დათქმულ დროს სტუმრების მისაღებად მზად იყო. ის ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპაში.

უსასრულობის სიმბოლო

„დინასტიას" საინტერესო ღოგო აქვს - მასზე ქართული ჩუქურთმაა გამოსახული. ჩუქურთმისეული უწყვეტი სტრუქტურა შემოქმედებითი უსასრულობის სიმბოლოა. ქეთევან და არჩილ ქურდიანები ქართული ორნამენტის დიდოსტატებად ითვლებიან. ეს ტრადიცია თაობებშიც გაგრძელდა - ყველა მათგანი დღემდე იცავს და ინახავს ქართული ჩუქურთმის უნიკალურობას და სიღამაზეს. ის ქურდიანების ყველა პროექტში ფიგურირებს.

გიორგი ქურდიანი ■ GIORGI KURDIANI

Three Century Old Art in Millimeters

We are the guests of the Kurdiani family at 44, Barnov st., in Tbilisi, Georgia. The house is designed by Gigo Kurdiani, the famous ancestor and all generations have lived in here ever since. It houses the Kurdiani architectural studio " Dynasty" and Archil and Giorgi Kurdianis welcome us at the Studio

GIORGI KURDIANI is the youngest representative of the Kurdiani dynasty. Following the successful graduation of the Tbilisi State Academy of Arts, in 2012 Giorgi continued his Master degree at the University of Lichtestein, Faculty of Architecture and Architectural Design Theory till Fabruary 2015. Between 2013-2014 he participated in the exchange program and studied at the faculty of architecture at "Sint Lucas" in Brussels. After finishing his study Giorgi has joined the studio and currently, together with his father Archil runs it, in the capacity of a co-founder. There were times when 3 generations have been working together in the studio: grandfather Giorgi Kurdiani, father Archil and the grandson, Giorgi Kurdiani the Junior. Currently, Giorgi is a PHD Student at the Tbilisi Academy of Arts.

Despite his young age, majority of Giorgi Kurdiani's architectural projects are already being realized. Giorgi has been a co-author of the Liechtenstein pavilion in Venice Biennale. The education he has received abroad and the work experience he has gained was an added value to him. Even today he maintains contacts with the Liechtenstein University as he manages the relations between the UniLi and the Academy of Arts. Assisting the most successful students of the Academy of Art to enjoy the benefits of the exchange programme.

The Studio Dynasty is founded by a famous architect and engineer Grigol (Gigo) Kurdiani in 1898. He designed the Leselidze Street and Elbakidze descent in Tbilisi, also water supply networks for Tbilisi and Kutaisi. He was the author of various communal and public buildings and contributed tremendously in the realization of the first building of Tbilisi State University – Gigo was providing pro bono services to his country. He built water supply systems in about 600 villages in the region of Kakheti. He was the author of a number of books and manuals and also lectured at the Tbilisi State Academy of Arts as well as at the Technical Institute. The second generation of the dynasty was represented by Archil Kurdiani and his wife Ketevan Porakishvili-Kurdiani. They were the first diplomized architects in Georgia. Archil Kurdiani held various high ranking positions, such as: the first Chief Architect of Tbilisi City; the founder and the first manager of "Tbilkalakproect(State Planning Project of the Capital of Georgia); the founder of the organization for the Protection of Historical Monuments; the chairman of The Association of Architects, the first and the last architect having the title of a national architect; the academician and professor of various academies. Both Archil and Ketevan were titled the Honored Workers of Georgia in Art.

Archil and Ketevan's son, Giorgi (Gia) kurdiani pursued the path of his ancestors. He graduated from the Tbilisi State Academy of Arts, the faculty of architecture in 1958. He, similar to his parents, have designed and realized quite a number of projects.

In 1965 Gia's son, Archil Kurdiani Junior was born in the family of architects. In 1990 he graduated from the Tbilisi State Academy of Arts, the faculty of architecture and joined the family dynasty. Archil Kurdiani was lucky by having a perfect opportunity of working on projects in cooperation with his grandfather – Archil Kurdiani the senior and his father Gia. In 2006, Gia the father and Archil the son received the title of "The Architect of the Year". In 2008 Europe Business Assembly nominated Archil Kurdiani(Junior) as an award-winner and granted him with the international prize "Socrates". The creative works of Gigo, Archil (the senior), Ketevan, Gia (the senior), Archil (the junior) and Giorgi (the junior) taken together comprise hundreds of architectural and design projects. When talking about projects of particular interests and significance for both Archil and Giorgi, they distinguish those which had been started and materialized by their predecessors but which, owing to time changes required some additional renovation or extension and alterations therefore. One of such projects was the Tbilisi National Stadium. The first design was developed by Archil Kurdiani (the senior) in 1932-35. Later on, Archil, together with his son Gia and Static Engineer Shalva Gazashvili continued working on its reconstruction which was completed in 1976. In 2006 another reconstruction/rehabilitation phase was realized by Gia together with his son Archil and assisted by Giorgi (the junior) to ensure the harmonization of the stadium with the latest UEFA standards.

KETEVAN AND ARCHIL KURDIANI were also recognized as masters of Georgian ornament and this tradition pursued in coming generations.

ჩოგბურთის აკადემია ■ TENNIS ACADEMY

სასტუმრო-GUESTHOUSE ■ არო ჰაუსი - ART HOUSE

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ■ MODERN ART MUSEUM